გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ულდგრივი სტრიქონი რვაკაპეიკი.

1877—1891 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891


ბესარიონ სვიმონის ძე კველაძე, გრიგოლ ბუწუას ძე მონიავა და ეკატერინე და ნინო მონიავები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი ძმისა და მეორენი თავის ბიძა-შვილის **გიორგი სვიმონის ძის კველაძისას** და სთხოვენ, მობრძანდნენ მიცვალებულის პანაშვიდზე 16 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე და გამოსვენებაზე 17 ოქტომბერს, დილის 9½ საათზე ავლაბარში, ბეგლიაროვის ქუჩაზე № 6, თავის სიდგომიდგან წმ. მარინეს ეკკლესიაში.

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 16 ოქტომბერს,
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება:
ქეთ. ანდრონიკოვის და სვ. სვიმონიძის მონაწილეობით

I

## თამარ-ბატონიშვილი

ისტორ. დრა 5 მოქ. კ. მესხისა
რუსუდანის როლს შეასრულებს ქეთ. ანდრონიკოვისა, შალვას როლს სვიმონიძე

II

## ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი

ვოდ. 1 მოქედ. დ. აწყურელისა
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი საფაროვისა, ავალოვისა, ანდრონიკოვისა, არლანისა, ჩერქეზიშვილისა, ბ-ნი აბაშიძე, სვიმონიძე, გუნია, გედევანოვი, კანდელაკი, შათიროვი, ხაინდრავა და სხვ,
მეორე მოქმედ. **ლეკურს** ითამაშებენ.
დასაწყისი 7½ საათზედ.

ადგილების ფასი: ლოჟები 3 მან. მოყოლებული 10 მ. სკამები 60 კაპ. 3 მანეთამდე, გალერეია 20 კაპ. 40 კაპეიკამდე.

თეატრის ადმინისტრაცია უმორჩილესად სთხოვს თეატრის საზოგადოებას თავთავისის ადგილების დაჭერას და ანტრაქტებში კონტრამარკების გამორთმევას, ურომლისოდ თეატრში შესვლა აღკრძალულია.

რეჟისორი ნიკ. აკაკიშვილი. ადმინისტრატორი ვას. გუნია.

## ახალი ამბავი

—

*** ხვალ, ამ თთვის 17, სიონის ტაძარში წირვის შემდეგ პარაკლისი იქნება გადახდილი მათ იმპერატორებითის უდიდებულესობისა და უავგუსტოესის სახლობის კურსკ-ხარკოვ-აზოვის რკინის გზაზე სამეფო მატარებელის დამსხვრევის დროს სასწაულებრივ ხიფათისაგან გადარჩენისა გამო.

*** მის იმპერატორებითის უდიდებულესობის კარის ობერ გოფმარშალი თავ. ტრუბეცკოი სახლობითურთ ორშაბათს, ამ თთვის 14, აბასთუბნიდამ ტფილისში ჩამობრძანდა. „ვოკზალზე მისს ბრწყინვალებას ტფილისის პოლიცმეისტერი ლ.—ძე მასტიცკი დაუხვდა.

*** კავკასიის მთავარმართებელი გენერალ-ადიუტანტი ს. ა—ძე შერემეტევი გუშინ, ამ თთვის 15, დილის სახალხო მატარებლით ტფილისში დაბრუნდა ბორჯომიდამ.

*** გუშინ-წინ ტფილისში ჩამოიყვანეს პოდპოლკოვნიკი პ—ვი, რომელმაც ამას წინად ეჭვიანობისა გამო მანგლისში მოჰკლა აფიცერი ნეკრასოვი. პ—ვი დაპატიმრებულია.

*** ორშაბათს, ამ თთვის 14-ს; ბორჯომსა და ხაშურს შუა, გზაზე, შემდეგი უბედურება დატრიალდა. როდესაც ბორჯომიდამ ხაშურში კავკასიის მთავარმართებელი გენერალ-ადიუტანტი შერემეტევი ამალითურთ მობრძანდებოდა, ერთს ეტლში შებმული ცხენები რაღაზედაც დაფთხნენ და ეტლი გაიტაცეს. შიგ იჯდა გენერალ-ადიუტანტ შერემეტევის ადიუტანტი პოდპოლკოვნიკი სტემბოკ-ფერრერი. ეტლი გადაბრუნდა და დაიმსხვრა. ბ-ნი სტემბოკ-ფერრერი ეტლიდამ გადმოვარდა, ფეხი მოიტეხა და სხვაფრივაც ძალიან დაშავდა. მეორე დღეს ბ-ნი სტემბოკ-ფერრერი ტფილისში ჩამოიყვანეს და მიხეილის ქსენონში წაიყვანეს. ექიმებმა ფეხიდგან ძვლის ორი ნატეხი ამოუღეს, შემდეგ საკაცეზედ დასვეს და სასახლეში წაიყვანეს.

*** ცხინვალი: ცხინვალის ხიდს ახლა-კი ეღირსება გაკეთება, რადგანაც 11 ამ თთვეს იჯარით მისცეს ბ-ნ ივ. გალესკიძეს 2320 მანეთად. პირობა ისეთია, რომ იჯარადარმა უნდა გააკეთოს ისევ იმ „პლანით“ როგორც აქამდე იყო გაკეთებული. მასალა-კი სოფლის მხრით მიეცემა. უნდა-კი ვსთქვათ, რომ ვადა იქამდის მცირე დაუნიშნეს გაკეთებისა მოიჯარადრეს, სახელდობრ, ორი ითთვე, რომ არა ღონისძიებით არ მოხერხდება გაკეთება ხიდისა ამ ხნის განმავლობაში. ვიდრე პირობა დამტკიცდებოდეს, ურიგო არ იქნება, ეხლავ ერთი თთვე მეტი მისცენ ვადად. მაშინ ხიდი უფრო საიმედოდ გაკეთდება.

*** ქართლი. რაც წელს ქართლში ღვინის მოსავალია, თითქმის ათითხუთმეტი წელიწადი იქნება, ხალხი ამოდენა მოსავალს არ მოსწრებია მიუხედავად იმისა, რომ მთელს ქართლში მილდიუა მოდებულა. მილდიუსაგან ფოთოლი გაუხმა ვაზს და ჩამოსცვივნდა, მარცვალი შეაჭკნა და გაცვივდა; მაგრამ მაინც იმოდენა მოსავალია, რომ ქვევრები აღარა ჰყოფნით. ასე ჰგონია კაცს, რომ, რაკი მილდიუ ვენახებს გადახმობას უპირებს, ამიტომ ხალხს სანუგეშოდ უკანასკნელად-ღა აძლევს ამოდენა მოსავალსაო. თანაბარი მოსავალია ზემო ქართლსა და შუა ქართლში. მეჯრუხევში კოკა ტკბილი შვიდ მანათად იყიდება ხოლმე, ეხლა სამად და ოთხად იხვეწებიან; ხიდისთავში ცხრა მანათად ძ თუმნად იყიდება ძ, წელს-კი ხუთსა და ექვსს მანათს ვერ გადააჭარბა. ესევე დაიწია ტკბილის ფასმა ატენსა, მუხრანსა, კასპსა, სამთავისსა, ჭალასა, ლამისყანაში და ყველგან სხვაგან. დამტვრეული ქვევრები დაკოწიწდა, დიდხანს უხმარებელი ქვევრები ახლად დაირეცხა, მიწები გადაითხარა ქვევრების საპოვნელად და მრავალი შავად გამურული ქვევრი გადატანილ იქმნა ერთის ალაგიდგან მეორეზე. მაგალ. სოფელ სამთავისში ადგილობრივს მცხოვრებლებს უფიქრნიათ, რომ სამთავისის ტაძრის დიდს გალავანში ოდესმე კრებული იდგა ეპისკოპოსითურთ და, მაშასადამე, აქ მარნის ადგილიც უნდა ყოფილიყოვო. ამ აზრით დაუწყიათ გალავანში ერთს ადგილას მიწის თხრა და ერთს საჟენზედ რომ ამოუთხრიათ მიწა, მართლაც ქვევრები გამოჩენილა. ეხლა დარეცხილები და ღვინით სავსეა ეს ქვევრები. სხვათა სოფლელთა კიდევ კოკა ტკბილის შენახვაში მანათი აძლიეს, გადაქცევას, ნახევარი სხვას ერგოსო!. ამ კვალად გამოდის, რომ ათ კოკიანი ქვევრი ექვს-შვიდ მანათად ჰღირს და წელს-კი მარტო ქირა ერთი თუმანი უნდა აიღონ.

ღმერთმან დაუმადლოს, წელს

## ფელეტონი

—

### რკინის გზით

(მგზავრის შენიშვნებიდან)

(დასასრული, იხ. „ივერია“ № 219)

მდიდარის ბუნების პატრონია მთლად იმერეთი: წყალი უხვად, ტყე ბლომად; მთელი რიონის ველი თითქმის ერთიან ტყეა; ყოველს მცხოვრებს შემოფარგლული აქვს თავისი ტყე, სახლი ჩრდილში უდგია, სიცოცხლითა სტკბება თავის ლეღვის ხის ქვეშ; როგორც მამა-მთავრის აბრამის დროს გვიხატავს საღმრთო წერილი, ისეა სწორედ იმერეთიცა. ამ ყველაფრის სიუხვესთან რიონის ველს ერთი დიდი ნაკლი აქვს: გასაოცარი სინოტიეა; რამდენიც ფოთისაკენ დაეშვება, იმდენი უფრო და უფრო ჰგრძნობთ ამ სინოტიეს, დამპალს ჰაერს; ფოთში ხომ ისეთი მძიმე, შესქელებული ჰაერი იდგა, რომ სუნთქვა სჭირდა; ამიტომაც არის იქეთკენ ციებ-ცხელება.

გამიგონია და წამიკითხავს გაზეთებში ფოთის ძველ დიდების ამბები; ვნახე აწინდელი მისი ყოფა-ცხოვრება, მაგრამ რომ არ მენახა, ისა სჯობდა: არავითარიმე მოძრაობა, არავითარიმე ვაჭრობა; საშინელი სიჩუმე და ყურ-ჩამოშვებულება ჰსუფევს ყოველს კუთხეში; ბევრი კაცივით ჩაუქინდრია თავი, მზეს მიჰყუჟვია, სადღაც შორს აცეცებს თვალებსა და რაღასაც დაეძებს. ღმერთმა რა უყოს ფოთის ამისთანა ჩაქინდრისათვის ბათუმს! ამან მოუღო ბოლო, ამან გასწყვიტა წელში და ის დღეა და ეს დღე, წელში ველარ გამართულა. პირველს ნახვაზე, ერთის გავლა-გამოსვლით, მგზავრს ფოთი ძალიან მოეწონება: ირგვლივ უზარ-მაზარი ტყეები არტყია, თვით ფოთი ბაღებშია ჩაფლული, რა ყვავილი გნებავთ, რა ხე, რომ იქ არ იზდებოდეს: ყველა ის ცხელის ქვეყნების ხეები, რომელსაც აღმოსავლეთს საქართველოში ოთახებში ვინახავთ თბილად და რბილად, ფოთში გარედ, თავისუფლად იზრდება და ჰხარობს. ან რატომ არ იხარებს: წყალი ბევრი და სითბო, მცენარესაც ეს უნდა; ჩრდილოეთ-დასავლეთით რიონი და ზღვა, სამხრეთ-აღმოსავლეთით ტბა-პალიასტომი და აქედამ გამონადენი მდ. კაპარჭინა, აღმოსავლეთითაც დიდი ტყე. აი ამათ შუაა მომწყვდეული ფოთი. ფოთს თუ ყურები ჩამოუყრია ძველის დიდების დაკარგვის გამო, რიონი ყრილობს ჯავრს: ეს მთის მდინარე ისევ ისე ძველებურად ჰშფოთავს, ეკამათება, ებრძვის დიდს ბატონს, შავს ზღვასა; ზვირთები შავის ზღვისა იერიშით და ღრიალით ეცემა რიონს, მაგრამ ესეც მამაცად უდგია და უკანვე პირ-სირცხვილეულად აბრუნებს და შეაქვს თავისი წყალი შორს, შორს; კვალად იბრუნებს ზღვა და როგორც ერთს წვეთს, ისე ანარცხებს რიონის კიდეებზედ ღრიალითა და ზახილით; რიონი თავის მხრივ უკან არა რჩება და თავში ახეთქებს თვისს ტალღებს დიდს ბატონს; განუწყვეტელი, უკუნითი-უკუნისამდე ბრძოლაა ზღვასა და რიონს შორის, დიდს ბატონსა და ყმას შორის. თუმცა ასე მედგრად ებრძვის რიონი შავს ზღვას, მაგრამ რას გააწყობს? სტაცებს წყლებს, მიაქვს შორს და ჰყლაპავს ეს გაუმაძღარი სვავი, ძალას ართმევს, ფერს უკარგავს. ბრძოლა მოსაწონია, ბრძოლა სიცოცხლის ნიშანია, ბრძოლა გამამხნევებელია, ბრძოლაში გამობრძმედდება მბრძოლელი, მაგრამ უთანასწორობა აქაც არ ვარგა. რა ნაირადა ჰგავს ეს ბრძოლა ბუნებაში ადამიანთ ცხოვრებაში ბრძოლასა. ასევე ებრძვიან დიდი სახელმწიფონი პატარაებსა. პოეტი ამბობს:

თვითონ მეფენიც უძლეველნი,
რომელთ უმაღლეს არ ვინდა არის
და წინაშე არვინ აღუდგეს,
რომელთ ხელთ უპყრავსთ
უმაღლესი სოფლის დიდება,
შფოთავენ და დრტვინვენ,
და იტყვიან: „როდის იქნება
ის სამეფოცა ჩვენი იყოს“
და აღიძვრიან იმავ მიწისთვის,
რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!..

დიაღ! იბრძვიან „იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან“. მაგრამ რას იზამს კაცი, ასეთია წესი ბუნებისა, ასეთი კანონი დაუწერია ისტორიასა! დიდს დიდი ლუკმა უნდა და ამ ლუკმად პატარაებსა ჰყლაპავს: ზღვა-წყალი მდინარე წყალს ყლაპავს, ლოქო-თევზი ქიჰყინა-თევზს ჰყლაპავს, მძლავრი სამეფო პატარა სამეფოს. ბრძოლაა, ბრძოლა დაუსრულებელი ეს ჩვენი ქვეყანა! გამარჯვებული რჩება ჭკუითა და გონებით მომზადებული, სხეულით მძლავრი; ამ კანონს დარვინმა და სხვა სწავლულებმაც თავისი კვერი დაჰკრეს და დაჰბეჭდეს. ებრძვიან პატარაებიც დიდებს; ხანდისხან ბრძოლას გადარჩებიან და რაღაც მანქანებით თავს გაინთავისუფლებენ ხოლმე; ზოგნი-კი მოიქანცებიან, მოითეთქებიან უთანასწორო ბრძოლაში და ძალა-უნებურად დიდის გემრიელ ლუკმად შეიქნებიან ხოლმე; რას იზამ, „ერთს რომ ასი გცემდეს, კლდეც რომ იყო, გაგტეხს მტერი“, უთქვამს პოეტს და დარვინზედ უარესი კვერი დაუკრავს ზემოხსენებულ კანონისათვის.

უბედური შავი აზრები მიქოთდებოდნენ, მიზვირთდებოდნენ თავში და არ მასვენებდნენ; ჩემს თანამგზავრს განვუზიარე, რომ თავიდამ მომშორებოდნენ. მან ნუგეში მცა და ცოტა ოდნავ გულს მომიფონა.

— არ იცი შენ, რომ მაგ პატარაების ყლაპიებს ხშირად თუ არა, ხანდისხან მაინც, ანანიებენ ხოლმე, თვით მას დააპატარავებენ ხოლმე ადამიანისა და ქვეყნის თვალში? ეს შენც კარგად იცი, მაგრამ ამ ზღვის და რიონის ბრძოლამ გადაგავიწყა. ჩიტები გუნდად დაესევიან ხოლმე ალალს და თავს გამუჩერკნიან, ყვავები არწივს სულ ბდღვირს აღენენ; ჭიჭყინები წყალში კაპუეტს სოროში შეაძვრენენ ხოლმე. აქაც ასეა; პატარ-პატარა სლავიანთა ხალხებმა ოსმალეთს სულ სიყმე გააცალეს და გვერდები გამოახრეს. ეგ რად გინდა! პატარა საქართველო რა საოცარს საქმეს სჩადიოდა ძველად დიდების წინააღმდეგ; ხშირად მთლად სისხლში შეცურვილი ბრძოლის ველიდამ გამარჯვებული ბრუნდებოდა. ძალიან არ უნდა დაგვავიწყდეს ამ სურათმა, თუმც ქვეყნიერებისთვის-კი ძალიან საფათერაკო ამბავია და საფთხილოცა.

მე ტუჩზედ ღიმი ამაჩნდა, გულმა სასიამოვნოდ აიფანცქალა და „გამოიდარა“, პოეტისა არ იყოს.

—

ღვთის წინაშე, ბევრი კარგი სანახავია ფოთში: რკინის ხიდი, ძველი საბაჟო, რომელიც ინგრევა და ხავსით შემოსილია; ქალაქის ბაღი, რომელიც სავსეა სხვა-და-სხვა ნაირის ყვავილებითა და უცხო უცხო ხით;

მაინც ღვთიანი წელიწადი იყო: ღვინო ბევრი, პური თითქმის ყველგან საკმარი, სიმინდები ხომ კარგია. კომბოსტოს მოსავალსაც არა უშავსრა, მაგრამ მყიდველი-კი, საკვირველია, ყველგან არ არის. მაგალითებრ, გორში ლიახვის ხეობიდგან ბევრი ჩამოაქვთ და კარგადაც იყიდება, ქალის ხეობაში-კი ჯერ არავის მოუკითხნია კომბოსტო, როდესაც კვლავ ამ დროს თითქმის სულ გასაღებული ყოფილა კარგ ფასად.

მცხოვრებლებს გასჭირებიათ და, ვინც ასის თუმნისას ჰყიდდა, შიშის გამო, ნახევარ ფასად მზად არის დაუთმოს მყიდველს. ამობენ, ყარაიაზიდგან ბევრი კომბოსტო მოდის და იმიტომ აღარ კითხულობენ კასპისა და ქალის ხეობაზედაო, მაგრამ რაღა კასპელებისა და სამთავისელებისათვის მოვიდა ყარაიაზიდგან და გორელებისათვის-კი არა! თუმცა ასეთი სიიაფეა ღვინისა და კომბოსტოსი, მაგრამ ჩარჩები და სხვა ხალხის მძარცვავნი ჯერ კიდევ უცდიან და არ აცლიან გლეხ-კაცს ხელიდგან მოსავალს, უთუოდ იმიტომ, რომ უფრო გაიაფებას და გლეხკაცის გაჭირებას ელიან. მაინც გლეხკაცის ჯიბეში არა ჩავარა ხოლმე, რაც უნდ ბევრი მოსავალი იყოს. აბა სოფელ-სოფელ გაფანტულ ჩარჩების კლანჭებს როგორ წაუვლენ!..

⁂ 13 ოქტომბერს საბოტანიკო ქუჩაზე გიულ იუსუფ-ოღლი უეცრად სახლის აივანიდგან გადმოვარდა და ისე მძიმედ დაშავდა, რომ მაშინვე გარდაიცვალა.

⁂ ამავე დღეს აზნაურმა ბოლესლავ დემბროვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ 12 ოქტომბერს, საღამოს 1 საათზე, ჩემის სახლის ბანზე ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი ვიპოვნეო. ბავშვი თვითონვე აიყვანა აღსაზრდელად.

⁂ ამავე დღეს საღამოს მერვე საათზე ტფილისის სობრანიის სადგურში ლამპა ჩამოვარდა, ცეცხლი გაჩნდა და ხუთასის მან. ზარალი მოახდინა.

## საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი

მისის ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ეპარქიის პირველ ქორეპისკოპოსის, გორის ეპისკოპოსის ალექსანდრეს წარდგენილებისამებრ და უწმინდესის სინოდის 1890 წლის 13 მარტის—6 ივნისის მე-585 № რის გარდაწყვეტილების თანახმად, მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა სკუფიით დააჯილდოვა გორის მაზრის სოფ. არბოს წმ. განსხვლებულ ეკკლესიის მღვდელი გიორგი გვიმრაძე სამრევლო ეკკლესის განსაახლებლად დადებულ გულ-მოდგინე და პატიოსან სამსახურისა და შრომისათვის.

—

მღვდელ-მონაზონი დავით გარესჯელის უდაბნოსი მათე, მისის ყოვლად უსამღვდელოესობის ალექსანდრეს, ამ უდაბნოს წინამძღვრის, წარდგენილებისამებრ, მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის მიერ დაჯილდოებულ იქმნა ნაბედრენიკით.

## ქართლ-კახეთის საეპარქიო სამოსწავლო საბჭოსაგან.

ქართლ-კახეთის საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს ამა წლის 6 სექტემბრის ჟურნალით, რომელიც გორის ეპისკოპოსის ალექსანდრეს მიერ არის დამტკიცებული, ნება-რთვა ეძლევათ, თხოვნისავე თანახმად, შემდეგი სამრევლო-საეკკლესიო სასწავლებლები დაარსონ: კუკიისა—ნიკოლოოზისა და სამებისა ტფილისში, ელ-კენზეზისა ყარსის პირველს საბლაღოჩინო ნაწილში, ყარალაჯისა და კარალეთისა, გორის მაზრაში, და ურიათუბნისა, თელავის მაზრაში.

—

## გურია-სამეგრელოს საეპარქიო სამოსწავლო საბჭოსაგან

გურია-სამეგრელოს საეპარქიო სამოსწავლო საბჭომ 1891 წლის 11 სექტემბრის სხდომაზედ დაადგინა:

ა) „უმაღლესად დამტკიცებულ საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებლების წესების მე-16 §-ის თანახმად, ეთხოვოს (და ამასთანავე საბჭო უპატივისცემოდ სთხოვს) მისს ყოვლად უსამღვდელოესობას, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს გრიგოლს, რათა მან იშუამდგომლოს უწმიდესის სინოდის წინაშე, რომ პრინცესა სალომე მიურატი საპატიო მზრუნველად იქმნას დამტკიცებული შემდეგის საბლაღოჩინო ნაწილების საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებლებისა: ბლაღოჩინის დეკანოზის ს. ანჯაფარიძისა და ბლაღოჩინ-მღვდლის გიორგი ბერიძისა“.

ბ) „ნება მიეცეს მთხოვნელს (ესტატე შუბანიას), რომ საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებელი დაარსოს მოხსენებულს სოფელში (ხეთაში) და იგივე დაინიშნოს ამ სასწავლებლის მასწავლებლად“,

გ) „ნება მიეცეს მთხოვნელს (ილია ბერულავას) სენაკის მაზრის სოფ. თალერის ახლად დაარსებულს საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებელში მასწავლებლად ყოფნისა“.

დ) „სამიქავას ორ-კლასიანი საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებლის მასწავლებლის რაჟდენ გოგოტაშვილის, რომელიც თავის თხოვნისამებრ ანებებს თავს სამსახურს, ადგილზედ დაინიშნოს სემინარიაში სწავლა-დამთავრებული კონდრატე ხოშერია“.

ე) „საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს თავმჯდომარის წინადადება თანახმად, სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელთან 7 ოქტომბრიდგან 13 ოქტომბრამდე დაინიშნოს კრება სენაკისა და ზუგდიდისა მაზრების საეკკლესიო- სამრევლო სასწავლებელთა მასწავლებლებისა, რადგან ამ ხანში მინდვრად მუშაობისა გამო მოსწავლენი დროებით დათხოვნილნი არიან ხოლმე სწავლისაგან“.

ვ) „ლეჩხუმის მაზრის საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებლების მეთვალყურედ დაინიშნოს მღვდელ-ბლაღოჩინი რომანოზ გულბანი“.

ამ ჟურნალს შემდეგი განაჩენი დასდო მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა: „1891 წლის სექტემბრის 12-სა დღესა. ვამტკიცებ“. („საქ. საე. სას. მოამბე“).

## ქალაქის საბჭო

14 ოქტომბერი

მოისმინა თუ არა საბჭომ ოქმი წარსულის კრებისა, ხმოსანმა ნ. დ. ზუბალოვმა განაცხადა, რომ ოქმში ნათქვამია, ვითომც საბჭოს დაედგინოს, რომ რადგანაც პ. ა. იზმაილოვი ამორჩეული არ იქმნა ქალაქის თავის მოადგილედ, ამიტომ არჩევანი ვერ მოჰხდა და გადადებულ იქმნა მეორე კრებისათვისო. ნამდვილად-კი საქმე ასე იყო: კრებამ არ ამოირჩია პ. ა. იზმაილოვი და შემდეგის კრებისათვის გადასდო ამორჩევა ახალის კაცებისა და პროტოკოლშიაც ასე უნდა იყოს მოხსენებულიო.

წევრი გამგეობისა პ. ა. იზმაილოვი. მაგეთი განაჩენი არ დაუდგენია საბჭოს. მხოლოდ თვით ქალაქის თავმა მოახსენა კრებას, რომ არჩევანს მეორეჯერ მოვახდენო, და ასეცა სწერია ოქმში.

ხმ. ა. ს. მატინოვი. მაგრე რომ ჩაიწეროს ოქმში, როგორც ხმ. ზუბალოვს უნდა, ეგ იმას ეგვანებოდა, ვითომც პ. ა. იზმაილოვისთვის უფლება ჩამოერთვას საბჭოს, რომ კენჭი აღარ იყაროსო. საბჭოს მაგეთი განაჩენი არ დაუდგენია.

ხმ. შახაზიზოვი. ხმ. მატინოვმა არ იცის, რა დაადგინა კრებამ, ამიტომ რომ დათვალა თუ არა ქალაქის თავმა კენჭები, დ. ს. მატინოვი მაშინვე გარედ გავარდა.

ხმ. ზუბალოვი. მე დარწმუნებული ვარ, რომ იზმაილოვი თავაზას გამოიჩენს და ყუთს აღარ დაიდგამს, რაკი იმ დღეს საბჭომ არ მოინდომა მისი არჩევა. ან-კი რას ეგვანებოდა მაგეთი შეურაცხება წარსულის კრებისა! განა იმ დღეს აქ სათამაშოდ ვიყავით შეკრებილნი! ორშაბათს დავადგინეთ, არ გვინდა იზმაილოვიო, და ერთის კვირის შემდეგ კვლავ მისს ყუთს ვიდგამენ.

ხმ. მ. ი. თამამშოვი. იმ ორშაბათს პ. ა. იზმაილოვი არ ამოირჩია საბჭომ, ორმა დანარჩენმა წევრმა უარი განაცხადა კენჭის ყრაზე. მაშასადამე, დღეს ჩვენ მაგათ ყველას თავი უნდა დავანებოთ და ქალაქის თავის მოადგილედ ამოვარჩიოთ ერთ-ერთი ხმოსანთაგანი.

ხმ. შახაზიზოვი. მე არ მესმის მაგეთი ძალადობა. იმ დღეს საბჭომ გამოაცხადა თავისი სურვილი, რომ იზმაილოვი არ უნდა ქალაქის თავის მოადგილედ. დღეს გვეუბნებიან, გინდათ თუ არა კვლავ კენჭი უნდა იყაროს იზმაილოვმაო. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი შექსპირის „გამლეტში“ საყვედური, ჯერ ერთი წყვილი ბაშმაკიც არ გაგიცვეთნიაო და..- (აქ ასტყდა საშინელი სიცილი, ხარხარი და სტვენა) და იმდღევანდელი დაწუნებული კაცი... (დიდის ხმაურობის გამო ხმოსანი იძულებულია დაჯდეს).

ქალაქის თავი. უნდა მოგახსენოთ, რომ იმდღევანდელი არჩევანები არ

---

განსაკუთრებით საყურადღებოა კანდელი თავისის სიდიდითა და სიმაღლით, შემდეგ შავროვის ნაჭირნახული ნავთსადგური, რომელიც ორად არის გაყოფილი; სამხრეთის მხარე ოხრად გდია, გემები არ შედიან შიგ, რადგანაც არა ვარგობს, მხოლოდ მეორე ნახევარში შედიან. მუშა გემი თუ შემოდის ათასში ერთხელა, თორემ პასაჟირებით გემი მოშორებით დგება. ფოთში ნავთსადგურზედ არის მხოლოდ ფოთსავით მივიწყებული, დაძველებული და დახავსებული გემი პასაჟირებისათვის, რომელსაც ეძახიან „Бабушка“-სა („ბებია“). მართლა, რომ ბებერის დიაცივით დალახლახებს ეს საცოდავი გემი. ხალხს კიდევ იმედი აქვს, რომ ფოთს ძველი დრო დაუბრუნდებაო, მაგრამ, სანამ ბათუმი ცოცხალი იქნება, ფოთს აღარაფერს აღარ დაანებებს. როგორც ურიები დღევანდლამდე მესიის ლოდინში არიან და ამა იმედით საზრდოობენ და თავს იყოლიებენ, ისე კიდევ ფოთელები პირს იმტკბარუნებენ მომავლის იმედით. რასაკვირველია, იმედიც კარგია. სასოწარკვეთილებას მაინც აცდენს. როგორც სჩანს, ვაჭრობაც დაცემული უნდა იყოს: რამდენიმე კაცი ვნახე, დუქანს წინ ჩამომჯდარი, ხელში კრიალოსნით, რომელთაც (კაცებს, რასაკვირველია, და არა კრიალოსნებს) თავი ჩაეკიდნათ და ტკბილად ხვრინავდნენ, ზოგი ამთქნარებდა და პირზედ ხელს იფარებდა, რომ ქინქლობუზები არ ჩასძვრენიყვნენ, რომლებიც გუნდ-გუნდად დადიან ფოთის ქუჩებზედ. სამეგრელოს სოფლები მოშორებით ჰქონია, მხოლოდ გურიის რამდენიმე სოფელია ახლო. აქედამ თუ შემოდის ვინმე ფოთში და ესენი თუ ივაჭრებენ რასმე. ხანდისხან, რასაკვირველია,—ამას როგორ ვიტყვით,—შემოდიან ზღვით „არფიანკები“ დაართობენ ხალხსა; ჩვენ იქ ყოფნის დროს ვილაებიც დაეხირებოდნენ ქუჩა-ქუჩა და ჰოროტოტოებს აღრიალებდნენ.

დახავსებულის „Бабушка“-თი ბათუმისკენ გავემგზავრენით; შლვაში, „რეიდზედ“ (ნავთსადგურია ბუნებით) გემი დაგვიხვდა „დიდი მთავარი მიხეილი“, სალამ-ქალამი მიართვეს ერთმანერთს გემებმა და ხალხმა; „მიხეილი“ ავსებით ავსებული იყო ხალხითა: კავკავის გზის გაფუჭების გამო ხალხმა სულ ზღვით დაიწყო დენა. მშვენიერი დარი იდგა, ჩუმი, ყუჩი, ოდნავ სისინებდა ქარი, რის გამოც ზღვა ოდნავ ირყეოდა და სარკესავით პირს ინაოჭებდა.

— მშვენიერია ეს შავი ზღვა, სუფთა, თვალისათვის სასიამოვნო; როდესაც ნაპირას მისდიხარ, თვალს ათასნაირი სურათი ეხატება: მთები, ტყეები, ქალაქები. დიაღ, შავი ზღვა „благородное море“-ო, დაუმატა მგზავრმა, რომელსაც გემის ბანზედ გვერდით ახალგაზდა და ლამაზი ქალი უჯდა; როგორც ეტყობოდათ, ერთმანერთი გზაში გაეცნოთ. თქვენის თვალებივით სუფთა და მოკრიალებულია ეს ზღვაო, უთხრა ქალს მგზავრმა.

— და თქვენის თვალებივით შავი, დაუმატა ქალმა და გადაიკასკასა.

— არა ეს ზღვა შავი არ არის; თუ მკითხავთ, მუქი ცის ფერია, აბა დააცქერდი, თუ თქვენს თვალებს არა ჰგავს... მე რა ვსთქვი? მუქი ცის ფერი მეთქი, უკაცრავად! ლურჯი უნდა მეთქვა. იცი, ჩვენში რა ანდაზაა ლურჯს თვალებზედა? ლურჯი თვალები ზღვის ძირზედ ნემსს დაინახავსო.

— მაგისი რა მოგახსენო და მე მართლა მაგარი თვალები მაქვს, უთხრა ქალმა? იჰ, როდის მივალთ ბათუმში, მომეწყინა.

— ერიჰაა! ეგ ვერაფერი ალერსი მოგივიდათ, მაშ თავი მოგაწყინეთ? მშვიდობით!

— მოითმინეთ, მოითმინეთ! თქვენ რომ არ შემხვედროდით და ეს ზოლას „Деньги“ რომ არა მქონიყო თანა, უფრო ძალიან მომეწყინებოდა. დაბძანდით, „დელფინებს“ ვუყუროთ; მე თქვენი მადლობელი ვარ; მამაჩემი, ყმაწვილო, სულ ომის შესახებ მელაპარაკება.

— სამხედრო კაცი ხომ არ არის?

— არის და აგრე! გენერალია; აგერ, აი მოხუცებული გენერალი რომ ელაპარაკება მაღალს კაცსა, ის არის.

— უჰ, ღმერთო ჩემო, რა მრისხანე სახე აქვს! ხომ არ გაგიჯავრდება, ჩემთან რომ ზიხარ.

— არა... ბათუმში ერთმანერთს ვეღარა ვნახავთ? ჩვენ ხვალ წავიდეთ ტფილისში.

— მეც ქუთაისისკენ მივდივარ... ბათუმშიც შევხვდებით... რომელს სასტუმროში ჩამოხდებით?

ამ დროს ხალხი მოაწყდა ამ ადგილსა და ზღვაში ცქერა დაიწყო; მეც ჩამოვეცალე ზღვაზედ მოარშიყეთა და გემის ბანზედ აქეთ-იქით ფრატუნი დავიწყე; ზედ გემის ცხვირთან ერთი უცნაური ტკბილი ხმა შემომესმა, რომელმაც გული სასიამოვნოდ ამიფანცქალა; ახალგაზდა კაცი, უბრალოდ ჩაცმული, გაიცქირებოდა ზღვის სივრცეში და დაბალის ხმით ღიღინებდა: „თავო ჩემო, ბედი არ გიწერიასა“. ყველანი მივეხვიენით; გამოვკითხეთ ვინაობა.

— მე გორიდამა ვარ; რას გიკვირთ ჩემი სიმღერა; კაი ხანია სამშობლოს ღრუბელი არ დამინახავს; რომ გავხედე ბათუმისაკენ გურია-ქობულეთ-აჭარის მთებსა, გული ამიმღერდა. აგერ ათი წელიწადია გადმოვვარდნილვარ; დავდივარ სხვა-და-სხვა ქალაქებში და ისე ფეხზედ ვვაჭრობ.

— გორიდამ ვისი ხარ? ვკითხეთ.

— ივანე ბერძენი, ქვის მთლელი, გაგიგონიათ? იმისი ვარ. იმათიც აღარა ვიცი-რა. მეფიქრება, რომ ცოცხალი აღარ ვინ უნდა იყოს.

— მაშ ბერძენი ხარ, გორელი?

— რამ გამაბერძნა; დედა გორელი ქართველია და მე ქართულის მეტი არ მცოდნია-რა, მხოლოდ ეხლა რუსულიც შევიმატე. აგერ ბათუმის კანდელიც გამოჩნდა, შევდივართ რაღა.

— გამოჩნდა, გამოჩნდა! შეექმნათ სიხარული მგზავრებს, რომლებიც რამდენიმე ხანია დამწყვდეულნი იყვნენ ოთახში და ხმელეთზედ გასვლას ელოდდნენ.

აგერ, ნელ-ნელა ხვნეშით და სტვენით შევიდა ჩვენი გემი ბათუმის ნავთსადგურში, რომელიც გემებით იყო ავსებული და მათი ანძები ტყეს წარმოადგენდა.

რამდენადაც ფოთი უსიცოცხლოა, მოძრაობა მოკლებული, იმდენად ბათუმი სიცოცხლით არის სავსე, დიდი მოძრაობაა, გემების მიდენ-მოდენა, სხვა-და-სხვა მაშინის ჰყივილი; ზღვის პირი, სადაც ნავთ-სადგურია, სავსეა მუშა ხალხით, რომელიც ეზიდება აქეთ და იქით სხვა-და-სხვა საქონელს. როგორც სჩანს, ბათუმიდგან თითქმის სულ ნავთი მიაქვთ სხვა ქვეყნებში.

ბაქოს ნავთის პატრონებს ბათუმში თავიანთი საწყობები აქვთ ნავთისა; ეს საწყობები ზღვის პირად არის, რომ დროზედ მიიტანონ გემზედა; ყველაზედ შესანიშნავია აქ როტშილდის ნავთის საწყობები. როტშილდის ამხანაგობას ქარხნებიცა აქვს გამართული, სადაც თუნუქის ყუთები კეთდება; ჩვენ ერთის ნაცნობის შემწეობით, რომელიც როტშილდს კანტორაში ემსახურება, ნება ავიღეთ ქარხნების დათვალიერებისა.

განუწყვეტელმა გრიალმა, ჰყივილმა და ჩხრიალმა ყურები წაიღო; მუშები უსულოსავით სხედან თავისს ადგილზედ, მხოლოდ ხელების სწრაფად

იყო კანონიერი. მე არ ვიცოდი სრული წესი ქალაქის თავის მოადგილის ამორჩევისა. მითხრეს, რომ ამ თექვსმეტის წლის განმავლობაში სულ ისე ყოფილა შემოღებული ჩვენში ეს ამორჩევა, რომ ერთ-ერთს წევრს გამგეობისას უყრიდნენ ხოლმე კენჭსაო. კანონი-კი პირდაპირ ამბობს, რომ ამისთანა დანიშნულებისთვის საბჭო ჰნიშნავს ერთ-ერთს გამგეობის წევრთა შორისო. მაშასადამე, ყველა წევრს უნდა ვუყაროთ კენჭი და მათ არ შეუძლიანთ უარი განაცხადონ ყუთის დადგმაზე. წესი ასეთია და ამიტომ გთხოვთ, ჯერ სხვა საქმეები განიხილოთ და, როცა არჩევანს მივუახლოვდებით, მაგაზედ მაშინ ვიქონიოთ მსჯელობა.

კრება დასთანხმდა ამ წინადადებას. ქალაქის თავი, მთელი საბჭო და მაყურებელი საზოგადოება ფეხზე წამოდგა. ქალაქის თავმა მოახსენა საბჭოს, რომ ამ დღეებში შესრულდება 25 წელი მას აქეთ, რაც ბედნიერად დაქორწინდნენ ხელმწიფე იმპერატორი და მისი მეუღლე, დედოფალი სრულიად რუსეთისა. გარდა იმისა, რომ ამ დღეს ყველა ჩვენგანი მხურვალედ ვილოცავთ მათის იმპერატორებითის დღეგრძელ ბედნიერებისათვის, მე გთხოვთ, სახსოვრად ამ ღირსშესანიშნავ დღისა დავაარსოთ ტფილისში მუშათა სამკურნალო, რაზედაც გადავდოთ ქალაქის ფულიდგან 30.000 მანათი. გარდა ამისა, ვაჩუქოთ ღარიბს მოსახლეებს დარჩენილი ძველი ვალები დაფასებისა 10.000 მანათი.

საბჭომ ერთ ხმად მიიღო ეს წინადადება. მეორე წინადადება ქალაქის თავისა იყო შემწეობის აღმოჩენა რუსეთის დამშეულ გლეხ-კაცობისათვის, რისთვისაც ითხოვა 1000. მანათი საბჭომ ესეც ერთხმად მოუწონა ქალაქის თავს.

შემდეგ კრება შეუდგა არჩევნებს. ქალაქის თავის თხოვნით, საბჭოს მდივანმა წაიკითხა შესაფერნი მუხლნი არჩევანისა.

ხმ. ვეის-ფონ-ვეისენჰოფი. თუ წესიერად არ მიაჩნია ქალაქის თავს ის გარემოება, რომ წარსულს კრებაზედ უარი განაცხადა ორმა წევრმა გამგეობისამ და ყუთი არ დაიდგეს, ის ხომ კანონიერი იყო, რომ პ. ა. იზმაილოვი არ იქმნა საბჭოს მიერ ამორჩეული. დღეს ჩვენ ყუთები უნდა დავუდგათ მარტო დანარჩენს ორ წევრს გამგეობისას და უკეთუ ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიიღო საკმარისი ხმა, მაშინ ან სამთავ ერთად უნდა დავუდგათ ყუთები, ან ხმოსანთა შორის ამოვირჩიოთ ქალაქის თავის მოადგილე.

შემდეგ ხანგრძლივის ბაასისა, ქალაქის თავმა დაადგმევინა სამი ყუთი გამგეობის ყველა წევრთათვის. კენჭის თვლამ აღმოაჩინა შემდეგი: პ. ა. იზმაილოვს ამოუვიდა 23 თეთრი და 4 შავი კენჭი, ა. ა. ივანენკოს 22 თეთრი და 23 შავი, ე. ე. ხოსროევს 5 თეთრი და 40 შავი კენჭი. ოთხი შავი კენჭი პ. ა. იზმაილოვისა მით აიხსნება, რომ მისმა მოწინააღმდეგეებმა იმას სრულიად არ მისცეს კენჭი: ქალაქის თავმა გამოაცხადა, რომ 1 იანვრამდე 1893 წლისა ქალაქის თავის მოადგილედ ამორჩეულ იქმნა პ. ა. იზმაილოვიო. ხმ. მ. ვ. მაჩაბელმა სთქვა, რომ ეგ ამორჩევა კანონიერად არ ჩაითვლება, რადგან ხმოსანთა რიცხვი 48 იყო და ამორჩეულს უნდა მიეღო 25 კენჭი მაინცაო. ეს განცხადება ხმოსნისა შეტანილ იქმნა საბჭოს ოქმში.

შემდეგ იყო არჩევანი მამულების დამფასებლებისა. ამორჩეულ იქმნა ყოფილი დამფასებელი იუზბაშევი. ბოლოს რამდენიმე წვრილმანი საქმე განიხილა საბჭომ და კრება გათავდა თერთმეტს საათზე.

---

## სასამართლოს მატიანე

თავ. გ. ბებუთოვის მოკვლის საქმე

(შემდეგი. იხ. „ივერია“ № 219)

სოლომ. ციციშვილი. თოფის გასროლის დროს იქ არა ვყოფილვარ. აღნიაშვილმა ჩემთან ერთად ჭამა პური და მერე თავისს საქმეზედ წავიდა. სულ ოთხნი ვიყავით და სამ ბოთლამდე ღვინო დავლიეთ. აღნიაშვილის ბინაზედ მივედით სამნი და იქაც ბოთლ ნახევარი, თუ ორი ბოთლი დავლიეთ. ჩვენ წავედით, აღნიაშვილი იქ დარჩა და მითხრა, რომ ყარათაფაში უნდა წავიდე ბოქაულთანაო. მე არ მომკიდებია ღვინო, მაგრამ ის კი შევნიშნე, რომ პირველ ორის ჭიქის დალევაზედვე აღნიაშვილს ღვინო მოეკიდა. იქ ახლო-მახლო ღვინო არსად იშოვება, მხოლოდ ყარათაფაშია და ჩვენ-კი შვიდის ვერსის მანძილზედ ვიყავით ამ ადგილიდგან.

დისტანციის უფროსი ჯან-ბულატოვი. როცა აღნიაშვილი მოვიდა, მეძინა. გამომაღვიძეს და თოფის სროლაც გავიგონე. ჩემს კარავთან გამოვედი და თოფი გაესროლა. ისე შევნიშნე, რომ ნასვამი იყო და აღარა ვკითხე-რა. დაშავებული და ბრალდებული დიდი მეგობრები იყვნენ ერთმანეთისა. ოთხი საათი იყო, როცა აღნიაშვილმა ჩემის კარავისაკენ აიარა. მინდოდა მეკითხა რამე, მაგრამ მამასახლისმა მითხრა, მთვრალიაო.

თავმჯდ. მაშ გამომძიებლისთვის რად გითქვამთ, მე არ შემინიშნავს მთვრალი იყო, თუ არაო.

ჯანბულ. ჩემის ამხანაგის ჯავრი უნდა ამომეყარა. აქ-კი ფიცი დავდე და ტყუილს ვეღარ ვიტყვი.

მოწ. იოსებ მეზვერიშვილი. აღნიაშვილი რომ მიდიოდა, მითხრა, ბებუთაშვილს დავუბეზღებივარ, ვითომ ნემენცებისაგან სამი თუმანი ავიღე და ისინი მუშაობისაგან განვათავისუფლეო. უნდა წავიდე და მოველაპარაკოო. ბრალდებული ოდნავ იყო ნასვამი. მხოლოდ ისა სთქვა, რომ უნდა მოველაპარაკო, ვკითხო, რას მერჩის, ყმაწვილი კაცი რად უნდა დამღუპოსო. იქ თოფიც გაისროლა და ჯანბულათოვი გაუწყრა, აქ თოფის გასროლა როგორ შეიძლებაო.

ბოქაული ტერ-გრიგორიოვი. მოსვლისათანავე, მკვლელობის თვეე ნახევრის წინად, მარტის თვეში, ჩემთან ჩამოხდნენ ბრალდებული, ილია აღნიაშვილი, ჯანბულათოვი, ბებუთაშვილი და ანდრონიკაშვილი. აქ ბებუთაშვილსა და ილია აღნიაშვილს ლაპარაკი მოუვიდათ. პური ვჭამეთ და დილაზედ თავ-თავისს ბინისაკენ წავიდნენ. რამდენისამე ხნის შემდეგ ბებუთაშვილმა გაამხილა ზოგიერთი ბოროტ-მოქმედება ილია აღნიაშვილისა და ამიტომაც ილია აღნიაშვილი უკან გაიხმეს სამუშაოდგან. ალექსანდრე აღნიაშვილი ძალიან ნაღვლობდა ბიძის უკან გახმობას. შემდეგ ბებუთაშვილმავე გაამხილა და ბრალი დასდო თვით ალექსანდრე აღნიაშვილს. ეს ბრალი ის იყო, რომ ჩემენცის შულცისთვის მიეწერა ბრალდებულს, თქვენი მუშები არ ვარგანან, ან რუსები და ქართველები გამოგზავნეთ და ან სამი თუმანი ფულიო. მიიღო ეს ფული. ბებუთოვს გაუგზავნა, ბებუთოვმა მე გადმომცა და მე შულცსავე დავუბრუნე. აღნიაშვილს 30 მუშის მაგიერ, შვიდი მუშა ჰყავდა, თუმცა პურს 30 მუშისათვის იწერდა. წინად ორივენი ერთად ჰმუშაობდნენ, მაგრამ შემდეგ განშორდნენ ერთმანეთს. როცა შემატყობინეს, მაშინვე წავედი. გზაზედ ერთი ჯგუფა მუშები შემხვდა, რომელთაც აღნიაშვილი შეკრული მოჰყავდათ. ვკითხე აღნიაშვილს მოკვლის მიზეზი, მაგრამ არა მითხრა-რა. ამათ ჩემი ყაზახი გავატანე და მე დაჭრილთა წაველი. დაჭრილმა მიამბო, რომ აღნიაშვილი მოვიდა, მითხრა, მაზრის უფროსი გეძახის ყარაიაზშიო, მაგრამ მე არ გავყევი, რადგან მაზრის უფროსი იქ არ იყოვო. აღნიაშვილს ხელში თოფი ეჭირა და ისე მელაპარაკებოდაო. მკითხა, ბიძი-ჩემის საქმე როგორ არისო, და მე ვუპასუხე, არ ვიციო. ამ დროს მეურმე მომიახლოვდა და მკითხა, სად დავდგათ ბოჩკაო. მე მივბრუნდი და აღნიაშვილმა თოფი მესროლა. როცა მოიყვანეს და ვკითხე, რას მერჩოდიო, მიპასუხა: განა არ იცი, რასაც გერჩოდი, ბიძი-ჩემის საქმე არ იციო? როცა მე ვკითხე აღნიაშვილს, მიპასუხა, რომ არ მახსოვს არაფერიო, მაგრამ ჩემს იქ არ ყოფნისას-კი ქაღალდების მწარმოებლისათვის ეთქვა კანცელარიაში, შემთხვევით არ მისროლია თოფი და არც შეუგნებია ჩემთვის ბებუთაშვილსაო. ჩემის აზრით, ბრალდებულს შემწეობას აძლევდა ილია აღნიაშვილი, იმისის ხარჯითა სცხოვრობდა. აღნიაშვილი მთვრალი-კი არა, სრულიად ფხიზელი იყო. თოფი სახელმწიფოა და ილია აღნიაშვილსა ჰქონდა მიცემული. როგორც შევიტყე, იმას გადაეცა ბრალდებულისათვის. როცა გავუსინჯე ნივთები ბრალდებულს, წერილები ვიპოვნე, მაგრამ არ წამიკითხავს, რადგან ქართულად იყო, სხვებმა წაიკითხეს. ბრალდებულმა ილია აღნიაშვილსა სთხოვა თოფის ტყვიები და ისიც დაჰპირდა ვამოგზავნას. თოფის ტყვიებისთვის ბრალდებულს ჩემთვის არ მოუმართავს, თორემ რომ მოემართა, უარს არ ვეტყოდი და მივცემდი. მარტო ის გარემოება, რომ ჩემთვის

---

მუშაობაში შეატყობ, რომ ადამიანის შვილები არიან. ქარხანა ორ ნაწილად არის გაყოფილი. ერთს ნაწილში მზადდება თუნუქის ყუთები; იქვე ნავთით ივსება, იკეტება, მიდის მეორე ალაგას. აქ კეთდება ხის ყუთები, რომლებშიაც ნავთით სავსე თუნუქის ყუთებს სდგამენ და ჰგზავნიან გემზედ. მუშები თითქმის, რამდენსამე გარდა, სულ ქართველები არიან და მომეტებული ნაწილი სულ ბავშვები, ასე რვა წლიდამ მოკიდებული; გურული ბავშვები გასაოცარის სიმარდითა და სისწრაფით მუშაობენ; ყველა მისჩვეულა თავისს საქმეს; მაშინების გრიალს მუშა ბავშვი გამოუსტერებია და მთლად იგიც მაშინად გადაუქცევია. ამ ქარხანის მნახველს თვალ-წინ წარმომიდგა ევროპის ფაბრიკები, სადაც ხშირად მუშათა ამბოხება მოხდება ხოლმე. ქვა უნდა ედოს ადამიანს გულის მაგიერად, რკინის აგებულებისა უნდა იყოს, რომ ამ საცოდავს მუშებს სამუშაო დაუჭიროს; დილით ადრიან მოდიან თურმე ეს საბრალო ბავშვები; შუადღისას ცოტას ისვენებენ და კვალად შეუდგებიან მუშაობას საღამომდის. თითქმის მთელი დღე თავაუღებელი მუშაობენ და მაინც თავის შრომის ფასს ვერ იღებენ, ჯეროვნად არ ჯილდოვდებიან. როტშილდის ქარხანაში სამუშაოს ნაღდად აძლევენო, დაგვარწმუნეს. მუშებსაც გამოვკითხეთ და, ღვთის წინაშე, სამდურავი არავის გამოუცხადებია.

ბათუმი ლამაზი ქალაქია, მყუდრო, კარგი ადგილ-მდებარეობა უჭირავს; წინ ზღვა, უკან ტყიანი მთები; ზღვა თურმე ყოველ წლივ უკან იწევს და რიყეს სტოვებს იმ ადგილისაკენ, სადაც ეხლა ბაღი კეთდება და რომელსაც „ბულვარს“ ეძახიან. ხამის მგზავრის ყურადღებას მიიქცევს უსათუოდ ორი რამ: ქუჩაში დილით გესმის ყვირილი გაუგებარს რუსულს ენაზედ: „წაღები გავწმინდოთ“-ო. მართლაც, სადაც არა მგონია, შეგხვდება ჩოთქით და ვაქსით შემზადებული ბერძენი, დაგადგმევინებს პატარა სკამზედ ფეხს და გაგიპრიალებს წაღებსა. მეორე: გესმით ყვირილი: „სოუხსუ!“ ზურგით დააქვთ ქუჩა-ქუჩა მშვენიერი ცივი წყალი, რომლის სმით ადამიანი ვერ გაძღება. ბათუმი ცხელი ადგილია და ასეთს ცივსა და გემრიელს წყალს დიდი გასავალი აქვს.

ბათუმში მომეტებულად ვაჭრობს ქართველობა—იმერლობა, შემდეგ ბერძნები. წარმოდგენილი მქონდა, რომ ბათუმში ქართული აგრე რიგად არ იქნება ფეხ-მოკიდებული, რადგან დიდ-ძალი სხვა-და-სხვა ქვეყნის ხალხი მიდის და ბინავდება იქ-მეთქი. მაგრამ ყველგან გესმით ქართული. ვაჭრობა, როგორც ვსთქვით, ქართველების ხელშია, სასტუმროები, რესტორანები, ბაღებიც, სულ იმათსავე ხელშია. ქართველი მაჰმადიანები დაახლოვებიან ქრისტიანს ქართველებს, თავისს ღვიძლს ძმებს, მხოლოდ სარწმუნოებით დაშორებულებს, და განწყობილებით სცხოვრობენ.—ბათუმის მიდამოებში უფრო შესანიშნავია „თამარ ციხე“, რომელიც დღეს ეკუთვნის თ. ი. მუხრან-ბატონსა; ეს ადგილი ბათუმიდგან ორის ვერსის მანძილზედ არის, ზღვას გარდასცქერის, მეორე მხრით რკინის გზა ჩაუდის. ეს ადგილი შემკობილია მშვენიერის ჰაერით, ტყით, ცივის წყაროებითა; აქედამ მშვენიერი სანახავია ზღვაცა და მთელის ბათუმის არე-მარეც. როდესაც ბათუმიდამ რკინის გზით ამოვუარეთ ამ ადგილს, გურულებმა დაგვანახვეს ეს ციხე, რომელიც წინა დღით დათვალიერებული გვქონდა—ამას ეძახიან „თამარ-ციხესა“. დიდებული და წმინდა ვინმე ყოფილა თამარ მეფე, დაიწყო ერთმა იმერელმა! მისი საყვარელი ადგილი ყოფილა ეს ციხე. მთვარიანს ღამეში კრიანოსნის თამაშობით გადასცქეროდა თურმე ზღვას და ის დიდებული ადამიანი ამ დიდებულის ზღვის ცქერით სტკბებოდა. ზღვასავით სავსე იყო მისი გული თავისის ხალხის სიყვარულით; მხოლოდ ის ასრულებდა თავისის დროის გამამშვენებელის დიდის რუსთაველის სიტყვებსა:

უსჯად გასცემდი, ზღვათაცა
შესდის და გასდინების.

იქნება იმიტომაც უყვარდა ამ ზღვის პირად ცხოვრება, რომ თავისს თავს ზღვას ადარებდა და მხოლოდ იმას ჰპოვებდა თავის ტოლად!.. არა, იმისთანა ქვეყნიერობაზედ არავინ ყოფილაო, სთქვა გურულმა.

— მაინც რაღაც ღვთის მადლი იყო მოფენილი მთელს საქართველოში თამარ მეფის დროსა. მადლიანს ადამიანს ღვთის მადლიც თან დასდევს. მადლიანი იყო და მადლი ღვთისაც განუშორებლად იყო მასთან და იმისს ქვეყანასთან. და, და, და! ასე შემკობილი არა გაგონილა-რა, როგორც თამარი და მისი დროა! დაუმატა ახლა სხვამ.

— გაიგონეთ, რომ თამარ მეფის კუბო უპოვნიათ რაჭაში? სთქვა ერთმა იმერელმა და ულვაში გადაიგრიხა.

ყველა გაოცდა, ყველა სმენად გადაიქცა.

— ჯერ თუმცა გაზეთებში არ არის, მაგრამ მართალი-კია, შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავსაო, განაგრძო წახალისებულმა მოამბემ: რაჭაში განმარტოებული კლდეა, ზედ თურმე სდგას ეკკლესია; არსით მისავალი არა აქვს. ერთს რაჭველს უნახავს სიზმარი, გამოსცხადებია თამარ-მეფე და უთქვამს: თქვენი დიდება და სახელი აქა ვარ დატოვებულიო; ჩემს საფლავს არ ესმის წმიდა ხმა წირვა-ლოცვისა, ვარ მიტოვებული, მომხედეთო. იმ კაცს კიბე გაუმართნია, ასულა ეკკლესიაში, სადაც შუა ადგილას პიტალო ოქროს ერთობილი კუბოა. შიგ შეუშლელად ასვენია თამარ მეფეო.

მოამბის ლაპარაკის დროს ხალხი სულ გაშტერდა და მეტი აღელვებისაგან სიტყვა პირზედ შეახმათ. ამ დროს მატარებელი ქობულეთში მივიდა და ამ შემთხვევამ გამოაფხიზლა ხალხი.

ბათუმიდგან რკინის გზა გურიის ვაკე ადგილზედ მოდის; გურია და საზოგადოდ ბათუმის მხარე თავისის ციხის ძირით ბუნებრივი სიმაგრე ყოფილა საქართველოსი; ამ ადგილებს რომელი ეშმაკი აიღებდა, თუ თვით ქართველი არ უღალატებდა თავისს ღვიძლს ძმას ქართველს.

ამისთანა მშვენიერს ადგილებს, ბუნებით შემკულს, ჩვენ მხოლოდ ისე გაკვრით ვხედავთ და არ გვინდა, ძირეულად გავიცნოთ. უცხო ქვეყნის ხალხს აუვსია აგარაკებით ზღვის ნაპირები ბათუმიდამ ქობულეთამდე, ჩვენ-კი გულ-ხელ-დაკრეფილები ვსხედვართ და არაფრით არა ვსარგებლობთ. ბუნების სიმდიდრეს ქართველი გაუზარმაცებია და ამიტომ ხელს არასა ჰკიდებს, ვიდრე ძალიან არ გაუჭირდება. ცხოვრება ბრძოლას თხოულობს; ამ ქვეყანაში იმას გაუხარიან, ვინც ბურთს მეიდნიდამ გაიტანს. როდესაც ჩვენს ლამაზს ქვეყანას ჰხედავ, მაშინ თვალ-წინ შავბნელი მომავალი მეხატება და ვამბობ და ვიმეორებ მხოლოდ ამ შავბედითს სიტყვებს: „ნუთუ!.. ნუთუ!..“ ამ „ნუთუ“-ზედ სწყდება სიმები ჩემის გულისა და თავს ვანებებ ამ სიტყვების გამეორებას.

დღესაც ამ რკინის გზით გავლამ ბევრნაირად აალაპარაკა ენა ააძგერა გული და ბევრჯელ გამამეორებინა დამწვარს გულში ჩემი მკვლელი: „ნუთუ!“...

ს. მ—ი

არ მოუმართავს ტყვიებისათვის და თავის ბიძას მიჰმართა, აშკარად ამტკიცებს, რომ რაღაც საიდუმლო განზრახვა ჰქონდა. იმ წერილებში, რომელიც მე ვიპოვნე, ილია ალნიაშვილი სწერდა ალექსანდრე ალნიაშვილს, შეიტყე მანდაურ საქმის გარემოებანი და სანდო კაცების პირით შემატყობინეო. არ ვიცით-კი, რა საქმე იყო ეს საქმე, რა საიდუმლო. ბრალდებულს ჩვეულებად არა ჰქონდა თოფის მხარზედ ტარება, შინაც არა ჰქონდა, თავისი თოფი მალაკნისათვის მიებარებინა და მკვლელობის დღეს უკანვე გამოერთვა. სახელმწიფო თოფი ყველასა ჰქონდა, ალექსანდრე ალნიაშვილს გარდა; ბებუთაშვილსაცა ჰქონდა, რადგან იმასაც გაანწესებდნენ ხოლმე აქეთ-იქით სასიარულოდ. ბებუთაშვილმა მითხრა როგორღაც, რომ მე და ალექსანდრე ალნიაშვილს უსიამოვნება მოგვიხდაო.

თავმჯდომარე. ბრალდებულს რომ უთქვამს, ჯერ ბებუთაშვილთან მივდივარ და იქიდამ ბოქაულთანაც უნდა გადავიდეო, რას ჰნიშნავს ეს სიტყვები? ბებუთაშვილის ბინაზედ უნდა გაევლო განა, რომ თქვენამდე მოეღწია?

ბოქ. ტერ-გრიქუროვი. არა. ალნიაშვილისა და ბებუთაშვილის ბინებიდგან ჩემამდე ექვს-ექვსი ვერსია და იმის ბინასა და ბებუთაშვილის მებინას შუა ალნიაშვილს თორტი ვერსი უნდა გაევლო. ჩემთან რომ ჰქონოდა მართლა რამ საქმე, გზას პირდაპირ გადასჭრიდა და ბებუთაშვილისაკენ აღარ წავიდოდა.

ბრალდებული. თოფი ბიძიჩემისა იყო და ყოველთვის თან დამქონდა. ბიძაჩემს ორი თოფი ჰქონდა და ერთი მე ვსთხოვე, როცა ყარაიაზში მივდიოდი. მართალია, იმ დღეს ჩემი თოფი მალაკანსა ჰქონდა მიბარებული. არ მახსოვს, როგორ გამოვართვი, და არც ის მაგონდება, ვაპირებდი ბოქაულთან წასვლას; თუ არა თოფის ტყვიის გამოგზავნა ძმასა ვსთხოვე. ტერ-გრიქუროვს როგორა ვთხოვდი ტყვიას, როცა აღდგომა დღეს თითონ იმან ისესხა ხუთი ტყვია ჩემგან და სამიც ბებუთაშვილისაგან. როცა ყარაიაზში მივდიოდი, თან 30 ტყვია მქონდა, მაგრამ ასიც რომ მქონოდა, დამჭირდებოდა, რადგან იქ ვნადირობდი, თოფის სროლით ვირთობდი თავს.

მოწ. გიორგი ანდრონიკაშვილი. 16 მარტს მე, ჯანბულათოვი, ბებუთაშვილი და ალნიაშვილი წავედით კალიის გასაწყვეტად. ბოქაულისას სადილად დავრჩით. იქ მცირე ლაპარაკი მოუხდათ ბრალდებულსა და მოკლულს, ერთმანეთს „ტუტუცები“ უწოდეს, მაგრამ ისევ დიწყნარდნენ და მეორე დილას თავ-თავისს ბინაზედ წავედით. ლაპარაკი ილია ალნიაშვილსა და ბებუთაშვილს მოუხდათ. ბრალდებული და დაშავებული ტფილისში ერთმანეთს შორის კარგს განწყობილებაში იყვნენ, იქ-კი არ ვიცი. როცა აქედგან წავედით, ეგ თოფი ალექსანდრე ალნიაშვილს თანა ჰქონდა; ისინი ქალაქში სცხოვრობენ, იმისს დედას საკუთარი სახლები აქვს ტფილისში.

ისაკ კარგარაშვილი. ბებუთაშვილს კაცი გამოეგზავნა ალნიაშვილთან, შემატყობინე, რამდენი კაცი გყავს, ურემი, ცხენი და სხვ. ბებუთაშვილი თითონ მოვიდა, ასწერა და ისევ წავიდა. მეოთხე დღეს მე და ჯანბულათოვი ახლო ვმუშაობდით. პურსა ვჭამდით, მამასახლისსაც დავუძახეთ. შემდეგ ჯანბულათოვი წავიდა. ალნიაშვილიც მოვიდა ჩემთან, პატივი ვეცი, ღვინო დავალევინე. ალნიაშვილი და მამასახლისი თავისს ბინაზედ წავიდნენ. ოთხი ბოთლი დავლიეთ და ოთხნი ვიყავით. იმ საღამოზედ მკვლეთობის ამბავი გავიგეთ. მე თითონ ფხიზელი ვიყავი, თავი ღვინო არ დამილევია და რა დამათრობდა. ალნიაშვილის და ბებუთაშვილის ჩხუბი მე არ მინახავს.

მოწ. ის. კოლოშვილი. სანდრო ალნიაშვილი და ბებუთაშვილი ჰლაპარაკობდნენ. ბებუთაშვილმა ჩაიზედ მიიწვია, მაგრამ ეს არ გაჰყვა, მხოლოდ მითავაზებული პაპიროსი მოსწია. ალნიაშვილმა ჰკითხა, რატომ ნავთი არ გამომიგზავნეთ, მუშები ვეღარ მიმუშავებია უნავთოდაო. ამის გამო შელაპარაკდნენ და ბებუთაშვილმა შეაგინა, გალანძღა, დედა უხსენა, სად დამთვრალხარო, უნამუსოს შვილი ხარო. სამი თუმანი მე მომცა, ალნიაშვილმა ბებუთაშვილის გადასაცემად, მუშის ფული იყო. იმათის ჩხუბის დროს ბევრი ხალხი იყო, აქეთ-იქით დაფანტულები იყვნენ და და ყურადღებას არ აქცევდნენ.

ბოქ. ტერ-გრიქუროვი. ალნიაშვილს ალექსანდრეს სამი თუმანი ნემეცის შულცისაგან მიეღო, თუმცა ნება არა ჰქონდა მუშების დასაჭერად გამოერთმევინა ფული. ჯერ მაგალითი არა ყოფილა, რომ მუშების ზედამხედველს მუშები დაეჭიროს: იმან მამასახლისს უნდა მოსთხოვოს კაცები. ბებუთაშვილმა მითხრა, რომ ალნიაშვილს უნდა ჩაიჯიბოს ეს ფულები, ფული აულია და სამი დღეც მუშები არ დაუჭერიაო,

ამით დაბოლოვა სასამართლომ მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევა და წერილობით საბუთებს დაუწყო განხილვა. წაკითხული იქმნა ბრალდებულის მიერ შულცთან მიწერილი წერილი, რომელშიაც იგი ან მუშების გამოგზავნას და ან სამს თუმანს ფულსა სთხოვს; მისივე ბარათი, რომ მივიღე სამი თუმანიო; წერილი მისის ბიძისა, ყარაიაზში მიწერილი ბრალდებულთან, და ბრალდებულის პასუხი.

## დეპეშა

14 ოქტომბერი

პეტერბურგი. ამბობენ, ხონთქარმა დეპუტაცია გაგზავნა ლივადიაში დიდის ვეზირის მეთაურობითაო.

პეტერბურგში მოუსავლობით დაზარალებულთა სასარგებლოდ სწირვენ არა მარტო ფულსა და სანოვაგეს, არამედ სხვა-და-სხვა ნივთებსაც, რომელსაც საჯარო ვაჭრობით ჰყიდულობენ და ფულად აქცევენ.

კიევი. ბროდსკის დიდი წისქვილი დაიწვა. ზარალი ერთს მილიონზე მეტია.

კოპენჰაგენი. ხვალისათვის სეფე ნადირობაა დანიშნული კუნძულს სელლანდზე.

### პეტერბურგის ბირჟა, 11 ოქტომბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7, 63 | 7, 68 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 153 | $153^1/_2$ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1, 14 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | $237^1/_4$ | — „ | — „ |
| —მეორისა | 220 | — „ | — „ |
| —მესამისა | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი | 210 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიმდე მიდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.

## განცხადებანი


ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| პატიოსანი ადამიანი | „ | 5 |
| ლენტის მსგავსნი ჰიენი ი. თ. | „ | 5 |
| მეფე დავით აღმაშენებელი, ისტორიული დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგ. თ. სახოკიასი. | „ | 30 |
| სამნი ბრძენნი, ილ. ოკონთელისა. | „ | 20 |
| ძმური სიტყვა. დ. მაჩხანელისა | „ | 25 |
| იქავე ისყიდება-თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა | 1 | „ |

თამბაქოს ფაბრიკა

ნ. ი. ბოზარჯიანცისა

ტფილისში

საზოგადოების საყურადღებოდ

ვთხოვ ყურადღება მიაქციოს პატივცემულმა საზოგადოებამ ეს არის ეხლა მიღებულ ახალის სისტემის ამერიკულ მაშინებზედ საუკეთესო ფრანგულს ქაღალდზედ გაკეთებულს

გილზებს უწებოოდ.

პაპიროსის მხმარებელთ შეუძლიანთ ყოველთვის იქონიონ ასეთის გილზით გაკეთებული პაპიროსი სხვა-და-სხვა ფასისა, რომელიც უკვე დიდ-ძალია მომზადებული გასასყიდად.

ეს არის ეხლა მივიღეთ საუკეთესო ღირსების ახალი

ოსმალეთისა და ადგილობრივი თამბაქო

სხვა ქალაქებიდგან შემონაკვეთს საჩქაროდ ვასრულებთ.

(10—117—10)

ახალი სტამბა

მ. შარაძისა ტფილისში

ნიკოლოზის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში,

იქ, სადაც „ივერიის“ რედაქცია იმყოფება, გაიმართა

სრულიად ახალი სტამბა.

სტამბასა აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მსწრაფლ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.

ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.

ყოველ გვარს სასტამბო საქმეს ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე

სუფთად და დროზედ ვაკეთებთ.

ისყიდება

ტფილისის ძველი წიგნის მაღაზიაში,

მ. ჯანაშვილის მიერ

დასტამბული წიგნები:

ა) „აღვაძგინე“ ანუ „სამი ისტორიული ხრონიკისა “ და „წმ. ნინოს ცხოვრების“ გასაგებ-შესასწორებელი სახელმძღვანელო, დამატებით მე IX-X საუკ. „სამეცნიერო ქრისტომატიიდამ“ ამოღებულ „სამკურნალო ტრაქტატისა“ და „სასწავლო წიგნისა,“

ბ) მწერლობა მე IX-X საუკუნისა, რომელშიაც დაბეჭდილია იგივ „სამკურნალო ტრაქტატი“ და „სასწავლო წიგნი“ გამომცემის წინასიტყვაობითურთ

გ) საუნჯე მე X საუკუნისა, ფასი 20 კაპ.

P. S. პირველი წიგნი დაიბეჭდა 300 ცალად, და ცალი ღირს 30 კაპ., ხოლო საუნჯითურთ 40 კაპ., მეორე წიგნი დაისტამბა 100 ცალად, და ცალი ღირს 40 კაპ., საუნჯითურთ აგრეთვე 40 კაპ.—შემოსული ფული გადაედება ფონდად მე IX-X საუკუნის მწერლობის ნიმუშების საბეჭდავად.

გამოიცა ალექსანდრე როინაშვილის მიერ

ძმური სიტყვა

დ. მაჩხანელისა

და ისყიდება შემდეგს ადგილებში:

ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ და ქართველთა მხანაგოაის წიგნის მაღაზიაში;

ქუთაისში ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში;

გორში არსენ კალანდაძესთან;

თელავში ილია ზარაფოვთან;

სიღნაღში კოტე ბალაშვილთან და კოტე ნადირაშვილთან.

ოზურგეთში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

წიგნი ღირს ხუთ შაურად. ვინც 10 ცალს ერთად იყიდის გამომცემლისაგან, აბაზად დაეთმობა. (10—79—5)


Дозв. ценз. Тифлисъ, 15-го Октября 1891 г.

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.